სახალხო გაზეთი

№ 792 სამშაბათი, 8 იანვარი 1913 წ. № 792

განცხადების ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე №№ ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის „სახალხო გაზეთზე“

წელიწადი მეოთხე

წელიწადი მეოთხე

ყოველდღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება „სურათებიანი დამატება“ (კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ წიგნს

1) უცხოეთის მწერლები. (400 გვ.) 2) ქართველი მწერლები. (500 გვ.)

გაზეთის ფასი ყველა პრემიებით წელიწადში 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., ერთი თვით 75 კ.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის მოწერის პირობები: 1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ., 1 ენკენისთვემდე 1 მ. 50 კ. 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა. **ხელის მოწერა გამართულია:** 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილ. 9—3 ს.-მდე და საღ. 5—7 ს.-მდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 ქრისტეშობისთვიდან კი ღია იქნება: დილ. 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღ. 3 ს. 2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად აზნაურთა ქარვასლა.

3) **ფოსტით.** Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети“. поч. ящ. 190.

ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ სურამში გარდაიცვალა

მღვდელი დიმიტრი ბებიაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **მეუღლე ეკატერინე ნიკოლოზის ასული და შვილები: იოსები, რომანოზი, კონსტანტინე, გენადი, გიორგი, სვიმონი და მარიამი.** დასაფლავება სამშაბათს, 8 იანვარს, დაბა სურამში, საგვარეულო სასაფლაოზე. 1011

საბურთალოს წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი გიორგი მაქსიმეს ძე ჩიქოვანი და მეუღლე მისი **ელისაბედ ოტიას ასული** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უსაყვარლესის ასულის ტფილისის ეპარქიალურის სასწავლებლის მოწაფის

ელენეს

გარდაცვალებას, კვირას, 6 იანვარს. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება საბურთალოს ეკლესიაში, იანვარის 10-სა, დილის 10 საათიდან. დასაფლავება ამავე დღეს კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 28

ი. ფ. ზარდალიშვილის ბენეფისი.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

ხუთშაბათს, 10 იანვარს,

ქართ. დრ. საზ. დასის მიერ **ი. ფ. ზარდალიშვილის საბენეფისოდ** წარმოდგენილ იქნება: **პირველად ქართულ სცენაზე** ალბერტ ლინდნერის ტრაღედია:

ჰუგენოტების ამოწყვეტა, 5 მოქმედებად და 6 სურათად თარგ. ი. ბარველისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი: გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე. ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მგალობლიშვილი, ქივიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილებ. ფასი საბენეფისოა.

1013 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქრთ. დრ. საზ. ადმინისტრ.

გამგეობა მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით აცხადებს, რომ 1913 წლ. 24 მარტს, შუადღის 12 საათზე მოხდება

საჯარო ვაჭრობა

როგორც პირადის განცხადებით ისე დაბეჭდილ კონვერტებით, **თოფურიასეულ სახლის** გადაკეთებისა და ზედა სართულის დადგმის

იჯარით გასაცემად 50,000 მანეთად.

ვისაც საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, ვალდებულია საჯარო ვაჭრობის დღეს, შუადღის 12 საათზე ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას წერილობით განუცხადოს ეს სურვილი, თან წარადგინოს პიროვნების დამადასტურებელი მოწმობა და აგრეთვე საიჯარო თანხის ერთი მეათედი ან ნაღდად ან სარგებლიან ქაღალდებით.

დაბეჭდილ კონვერტში ჩადებულ განცხადებაში ხელით უნდა იყოს ჩაწერილი ფასები და სურვილი იჯარის აღებისა საჯარო ვაჭრობისათვის წარდგენილ სმეტისა და პირობების თანახმად.

საიჯარო ხელშეკრულება დაიდება მას მერე როდესაც თოფურიასეულ სახლის გადამკეთებელი კომისია წინასწარ განიხილავს და დაამტკიცებს მას.

ვისაც სმეტისა და პირობების გადათვალიერება ჰსურს, უნდა მიჰმართოს მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ქუთაისის ბანკის გამგეობას, ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 9—2 საათამდე. 1655

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ვ. ვ. ვივინეიშვილის

საბუღალტრო კურსები

15 იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე განყოფილება, მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით. სწავლის ფული ასი მან. კურსი ათი თვისაა. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (ტფილისის ქუჩა.). 1002.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოდილნაია**, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92** 847

„განათლების“ საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ იანვრიდან ამ 1913 წელს

მიიღებს მსურველთ სახელოსნოში

შემდეგ დარგების შესასწავლად:

თეთრეულის კერვა, კალათების დაწვნა, არშიებისა და ჩულქის ქსოვა. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე 11 საათ. პირველამდინ.

მისამართი: სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა № 6. 1006

ახლად გამოვიდა

პაპიროსები „ეგიპეტსკია“

ძმათა სეილანოვების ქარხნისა.

ეტიკეტი წარდგენილია ვაჭრ.-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში. 1531

ბათუმში

გახსნილია განყოფილება კახელ მევენახეთა საზოგადოება

„კახეთი“-სა

1912 წლის 12 ნოემბრიდან.

საზოგადოება „კახეთი“-ს გამგეობა აუწყებს ამ ს ბბ. მყიდველებს, ქ. ბათუმში, ფოთში, სოხუმში, თეოდოსიაში, გაგრაში, ქობულეთში და სხვა, შავი ზღვის პირზე გაშენებულ ქალაქებსა და დაბებში, და სთხოვს მათ ღვინის დასაკვეთად მიჰმართონ **ბათუმის განყოფილებას.**

იყიდება მხოლოდ ნამდვილი კახური ღვინო საზოგადოების წევრთა ვენახებისა ბოთლი 30 კ.-დან 1 მანეთამდე.

მუდმივ და ერთბაშად მყიდველებს იაფად უთმობენ. პრეისკურანტები უსასყიდლოდ.

მისამართი: ბათომი, ოგლობჟიოს ქუჩა № 18, მიხეილის ქუჩის ახლოს, ტელეფონი № 190. 1548

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ვასწავლი

ქართულ

„სიმღერა-გალობას“

ჩაწერა და მიღება ყოველ დღე, ავჭალის მოედანი **№ 11, მიხეილ კავსაძესთან.** 886

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 8, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12— ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღებ. რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1922

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა № 3. ს. გაგაშვილისა.

ექიმი ი. კ. აბაკელია

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ ქ.** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სამოსწრო განყოფი. პირდაპირ. 102

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ ყ.-დღ. 11 ½ ს.

ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ. შაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12— საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი —ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ. პარასკ., კვირ 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ. დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

[illegible] 366.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ზ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ [illegible]

ქართული პრესა

ვ. თუმანიშვილის მრუდის და საზარო მოქმედების კახეთის რკინის გზის საქმე ერთი დარსული [illegible] კიდევ გაზეთშია—ქართული გაზეთ „მერცხალი“. იგი თავის მეთაურში („მერცხალი“ № 5), ასე სწერს [illegible] გვაძლევს:

„რკინის გზის გაყვანა შესაძლებელი ხდება სოფლის გამოღვიძებისა და [illegible] ეროვნულ ტერიტორიას გასცდეს და ამით [illegible] ლად, ე. ი. მთავარ ლინიდგან იქცეს, მსგავსად ახალ ადგილების და [illegible] არსებული ანგარიშის და სარგებლიანობის თვალსაზრისით ხელიდან [illegible] ვიწრო, დამცველად ტერიტორიისა გასცდეს [illegible] ერთვნულ მთავარ ლინიისა და [illegible] ხალხი ერთგული მთელი ერისათვის [illegible] ელემენტების დაკარგვის, როგორც სათავადო-აზნაურო [illegible] „სახალხო გაზეთი“, დახეთ, მაშინ შეიძლება გინდ ბაქოს, კახეთის რკინის გზა, რადგან ის [illegible] თავად-აზნაურთ შეუძლიათ ხელში ჩაიგდონ და საქართველოს [illegible] ტერიტორიაზე, ოღონდ [illegible] მთელი ერის [illegible] ნობას უმზადებდა ნიადაგს. ბაქო-

მდე ჰაყვანით კი იგი ჰკარგავს ამ საუცხოვო თვისებას, ჰკარგავს ამ იდეალურ ღირსებებს და ერის დამღუპველად ხდება, მისი მოთავენი კი ერის ძოლოლატეებად“.

კახეთის რკინის გზას მნიშვნელობა რომ მხოლოდ თავად-აზნაურთა ვიწრო წოდების ინტერესისთვის და სარგებლიანობისათვის არ [illegible] დღეს ყველასთვის [illegible] ტებაა, [illegible] „ნიკორ ეკონომისტ ფინანსისტებს“, რომელთაც მხოლოდ ხსენებული გზის დაუსრულებელი გაგრძელება ანტერესებთ, თუნდაც ასეთი „გაგრძელების“ სახელით ბაქოს კი არა, პლანეტ მარსზე თავდებოდეს. ასე რომ, ხსენებული გაზეთის აზრით, თუ ქართველ ხალხს არავითარი თვალსაჩინო წილი არ ექნება კახეთის მომავალ რკინის გზაში, როგორც მის პატრონისა და ექსპლოატატორს, [illegible] როდია, რადგან,

„როგორც მარქსი სთქვა, კაპიტალიზმის განვითარება და ზრდა —საუკეთესო საშუალება თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

გამოდის, რომ თუ ტაგანროგისა და [illegible] კახეთის რკინის გზა [illegible] კაპიტალისტი [illegible] „დაუფ[illegible]“ [illegible] მაშინ რა მოსალოდნელი?

„რკინის გზის ერთ კომპანიის ხელში ყოფნით ერთნაირი ტარიფი, ერთნაირი წესი გადაზიდვა-გადმოზიდვის და სხ. [illegible] უწყობს ხელს საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარებას. [illegible] გაცვლის [illegible] აუცილებლად „ბრძოლით“ [illegible] „ბრძენ ფინანსისტებო“ საქმე „ბერსადგებ“ და „ბუყა-ისრები“ [illegible] ლის“ ცოდნა. თქვენ გარდა ჯერ არავისგან გვსმენია, რომ ბაქომდე კახეთის რკინის გზის გაგრძელება მარტოდ რომ თვითონ სარგებლიანობას მოუტანს, როგორც [illegible] მოიხსენიებს, ისე მარის, რომელზედაც ის გაიქება. [illegible] რკინის გზის [illegible] უფრო მეტად სჭირს მანძილს ჩვენს საქვეყნოსა და რუსეთის ბაზარს შორის [illegible] განახლებული სოფლებიც რკინის გზის [illegible]

ახალი ამბავი

ტფილისი

იორდანე და ლიტანია. 6 იანვარს, ნათლისღების დღეს საქართველოს ეგზარქოსმა ინოკენტიმ, გორის ეპისკოპოსმა—[illegible] და სემინარიის რექტორის იღუმენის თანამწირვე-

ლობით ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში სწირა. სიონში კი ბაქოს ეპისკოპოზმა პიმენმა სწირა. მთელი ქალაქის სამღვდელოება 10½ საათისათვის სიონის ტაძარში შეიკრიბა, საიდანაც ეპისკოპოზის პიმენის მეთაურობით ალექსანდრე ნეველის ტაძრისაკენ გაემართა. აქედან ეგზარხოსი და მთელი სამღვდელოება იორდანესაკენ გაემართნენ, რომელიც გამართული იყო ვერის ხიდის ზევით. წყლის კურთხევის შემდეგ, როდესაც ჯვარი ჩაუშვეს წყალში, ჯარის კაცებმა თოფები დასცალეს. წყლის კურთხევას დაესწრნენ: მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასული ვორონცოვ-დაშკოვისა, მეფის მოადგილის თანაშემწენი გენ. შატილოვი, და სენატორი ე. ა. ვატაცი, ტფილისის გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, უმაღლესი მხლებელნი, თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი და სხვანი.

◆ **გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა**, რომ მართლმადიდებელ ტუსაღთა, ცხედარი პეტრე-პავლეს სასაფლაოს ნაცვლად, ნავთლუღის წმ. ბარბარეს სასაფლაოზე იმარხებოდეს.

◆ რუსეთის **მეხილეობის საზოგადოების** ამიერ კავკასიის განყოფილების თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქმნა, უკანასკნელ წლიურ კრებაზე არჩეული ს. ს. ხეთაგური.

◆ **საუნივერსიტეტო უბანში** (ნავთლუღი) ქალაქის გამგეობამ უკვე დაჰყო საქალაქო მიწები, რომელიც უნივერსიტეტს შესწირა, და ამ დღეებში შეუდგებიან მიწის ნაჭრების შეფასებას გასასყიდად.

◆ **საურთიერთო კრედიტის რუსთა საზოგადოება** გადავიდა ახალ ბინაზე თავად-აზნაურობის ქარვასლაში.

◆ ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ტფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოების **გამგე კომიტეტმა** დეპუტატთა საკრებულოს წარუდგინა ვრცელი მოხსენება ქართულ გიმნაზიის დღევანდელ ნივთიერ მდგომარეობის თაობაზე და თუ რა ზომებია საჭირო ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

◆ სომეხ გრიგორიანთა უქმისა გამო დღეს სომხური გაზეთები არ გამოვა.

◆ 6 იანვარს, ნათლისღების დღეს იორდანეს ზემოთ ყინულზე ბავშვები ცურაობდნენ, ყინული ჩაუტყდათ და ბავშვები წყალში ჩაცვივდნენ. მათ ხალხი მიეშველა და ყველანი გადაარჩინა.

◆ **ექსკურსია** ს. პეტერბურგის ფსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისა დ კურსისტებისა, რომელიც პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდა დეკემბრის 19 პროფ. ოდინეცის ხელმძღვანელობით, უკანვე მიემგზავრება 13 იანვარს ღამის 12 საათზე საფოსტო მატარებლით № 4.

ცნობების მიღება შეიძლება სტუდენტ ა. გარდაფხაძისაგან, ტხინვალის ქუჩა სახლი № 8. ნაშუადღევის 12 და 3 საათამდე.

◆ რედაქციამ მიიღო „სასოფლო გაზეთის მე-7 ნომერი, შემდეგის შინაარსით: მოწინავე. კიდევ დროებით ვალდებულთა განთავისუფლებაზე, ვინისა. საჭირბოროტო საკითხი, მეზობლისა. მებაჟეთა კრება ტფილისში, ძველი მეგობრისა. მეაბრეშუმეობა, ნ. შ—ისა. მევენახეობა, გ. ჩიკაძისა. მებამბეობა, გ. შარაშიძისა. მევენახეთა საყურადღებოდ, ბარ. ჯაფარიძისა. ხილისა და ბოსტნეულის ტეხნიკური გადამუშავება, ვ. ქიქოძისა. ჩვენებური ბუნება ფუტკრის ცხოვრებისათვის, რაფიელ ჩიხლაძისა. ხილეულობის სარგებლობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ლიზიკო ჰელიძისა. ქრონიკა. კითხვა-პასუხი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ამ დღეებში დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დანიშნულია **ქართულ სიტყვა-კაზმულ** მწერლობის საზოგად მორიგი კრება, რომელზედაც მიხეილ წულუკიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ესთეტიკის ძირითადი საფუძველნი“. მოხსენების შემდეგ გაიმართება ბაასი.

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების** დადგენილების მიხედვით, გამგეობამ საზოგადოების წესდების მეცხრე მუხლი შესცვალა. საწევრო გადასახადი ხუთი მანეთის მაგივრად სამი მანეთი დაეწესა. ეს შეცვლილი წესდება გამგეობამ დასამტკიცებლად ტფ. გუბერნატორს წარუდგინა..

◆ რადგანაც ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **ნ. მ. ქართველიშვილმა** ფაქტიურად უარი განაცხადა თავმჯდომარეობაზე, მის თანამდებობის აღსრულებას **ნ. ა. ტარსაიძე** შეუდგა.

◆ კვირას, 6 იანვრისათვის, დანიშნული იყო **ბ. მესხიშვილის საიუბილეო კომიტეტის კრება**, რომელსაც უნდა განეხილა საიუბილეო ხარჯთაღრიცხვა და საიუბილეო წესრიგი შემუშავებისა. მაგრამ 21 წევრისაგან, გამოცხადდა მხოლოდ 5. ამიტომ კრება გადაიდო მომავალ შაბათისათვის.

◆ ქალაქის სარევიზიო კომისიის სხდომა მოხდება ხვალ, საღამოს 8 საათზე. კომისია მცირე კომისიის მოხსენებას განიხილავს, ახალ სასაკლაოს რევიზიის თაობაზე.

◆ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების **საბჭოს კრება** მოხდება ხვალ, 9 იანვარს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში. განსახილველია საზოგადოების აგრონომთა მომავალ მოქმედების გეგმა.

სასწავლებლებში

◆ **ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში და ქალთა სასწავლებელში** დღეს დაიწყება იმ მოწაფეთა გამოცდა, რომელთაც ამ სასწავლებელში შესვლის სურვილი აქვთ.

სასამართლო

◆ ხუთშაბათს 10 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განხილული იქნება აჯი ზეინალ აბდინ ტაგიევისა და სხვათა სააპელაციო საქმე, რომელთაც ბაქოს ოლქის სასამართლომ, ინჟინერ ბებუთოვის წვალებისათვის ყოველი ღირსების ახდა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ორ ნახევარ წლით გაგზავნა გადაწყვიტა.

ქუთაისი

◆ ამ თვის თუთხმეტისათვის ქუთაისში მოელიან სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ. რუდოლფს.

◆ ოზურგეთის რწმუნებულთა ახალი შემადგენლობის დადგენილებით ქალაქის თვითმართველობას რევიზიას უკეთებენ. („იმერ.“)

◆ პრივატ-დოცენტი **ი. ჯავახიშვილი** ქუთაისში ლექციას წაიკითხავს 12 ან 13 იანვარს: „ისტორია საქართველოს ძველი ხელოვნებისა“.

◆ ამ მოკლე დროში სენატი გაარჩევს გაგრის რესპუბლიკის საქმეს. ეს საქმე ტფილისის პალატამ გაარჩია და რესპუბლიკაში მონაწილეობის მიღებისათვის 4—4-ი წლის კატორღა მიუსაჯა: ფარნაოზ ჯიქიას, მოსე ცხოიძეს, მოსე კოღურაძეს, და დათიკო ზენდელიანს.

◆ სენატმა დაამტკიცა გრიგოლ ბარკალაიას და ვანო კვიტაშვილის საქმე. მათ პალატის—მიერ მისჯილი ჰქონდათ პირველს 17—და მეორეს 18 წლის კატორღა.

◆ ს. საჭილაოში 31 დეკემბერს ღამით გლეხს გ. ბარათელს თავს დაესხა რვა შეიარაღებული კაცი. წაიღეს 50 მანეთი.

◆ 1 იანვარს ქუთაისის საპყრობილეში ითვლებოდა 1113 ტუსაღი.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობა, სანამ გუბერნატორი დაამტკიცებდეს 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვას, ხარჯების გაღების დროს იხელმძღვანელებს 1912 წლის საქალაქო ხარჯთ-აღრიცხვით.

◆ ხმოსნების ერთი ჯგუფი ქალაქის გამგეობის წევრად ასახელებს ბ. პავლე მოსეშვილს.

◆ 8 იანვარს სათეატრო საქმეების განსახილველად მოხდება ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრთა კრება.

◆ რუსეთიდან ქუთაისში ჩამოვიდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ბ—ი ფეოდოროვი.

◆ სრულიად რუსეთის შინა მრეწველთა გამოფენაზე გასაგზავნად, რომელიც უნდა მოხდეს ახლო მომავალში პეტერბურგში, ქუთაისის გუბერნატორს მოსდის ნიმუში.

◆ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობას აზრად აქვს იანვრის შუა რიცხვებიდან შეუდგეს მათდამი რწმუნებულ სამკითხველოების რევიზიას.

◆ 1 იანვარს ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოს კომიტეტმა ახალი წლის მისალოცად თითო პატიმარს ორ-ორი „პიროჟკი“ დაურიგა.

◆ ზუგდიდის სატუსაღოდან ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოში ჩამოიყვანეს და მოათავსეს **შალვა ჩიჩუა**, რომელსაც ერთი წლით ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი აქვს მისჯილი.

◆ ამ ჟამად ქუთაისის საგუბერნიო სახყრობილეში 21 პატიმარი ქალია მოთავსებული. („მერც“)

გორი.

◆ შაბათს, 5 იანვარს, მოხდა „ქართლის“ გამომცემელი ამხანაგობის კრების გაგრძელება. წინა კრებაზე ამორჩეული იყო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პირობები ზ. ციციშვილთან საკუთარ ხარჯით სტამბის მოწყობისა. გადასწყვიტეს საგირავნო ფურცლებით ივალონ ზ. ციციშვილისაგან 3,000 მან რათა ციციშვილს ფული არ დაეკარგოს, თავდებობა იკისრა ამხანაგობის წევრთა ჯგუფმა.

— ამავე კრებაზე „ქართლის“ რედაქტორმა ზ. ცინცაძემ წერილობითი განცხადება შეიტანა—გამანთავისუფლეთ რედაქტორობიდან და გაზეთს სახელი გამოუცვალეთ, რადგან შეიძლება „ქართლი“ მე დამჭირდესო. კრებამ სთხოვა ცინცაძეს—დარჩეს დროებით, ვიდრე ახალს რედაქტორს გამონახავდნენ...

სიღნაღი.

◆ ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღოლად დაინიშნა მოსკოვის „სკირბიაშენსკის“ მონასტრის ხაზინადარი ალექსანდრა ვისოტსკისა. ამავე დროს იგი იქნება წმ. ნინოს მონასტერთან არსებულ საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლის უფროსადაც.

◆ ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობას გადაუწყვეტია გამოიწეროს ამხანაგობის თანხით რამდენიმე „მორტირი“ (სეტყვის ასაცილებელი ზარბაზანი).

◆ სოფ. არბოშიკის მცხოვრებმა ილა სეხნიაშვილმა ამავე სოფლის მცხოვრებ სოლომონ ბაცაცაშვილის დახმარებით გაიტაცეს არბოშიკელ ლაზიკო ბადაშვილის გასათხოვარი ქალი—თამრო. ღამის ყარაულებმა დროზე მიასწრეს და საბრალო, გამხეცებულ ინსტიქტის სამსხვერპლოდ განმზადებული არსება ხელიდან წაართვეს.

◆ სოფ. ჯუგაანში ყოველგვარ ბოროტ-მოქმედების მოსასპობად სასოფლო ყრილობაზე ამოირჩიეს ოცდა ოთხი სანდო, პატიოსანი, ყოველს ეჭვს გარეშე მდგომი პირნი. ამათ სრული უფლება ეძლევათ მოქმედებისა ყოველგვარ არა ადამიანურ საქციელის ძირიან-ფესვიანად ამოსაგდებად. ამის შესახებ შესაფერი განაჩენი დაადგინეს და ადგილობრივ მომრიგებელ-შუამავალს გადაეცა დასამტკიცებლად.

—:— განზრახულია ქვემო-მაჩხაანის ორმოცთ-მოწამის ეკლესიის განახლება შეწირულების მიღება, ამ საგნისათვის ამ ჟამად ჯერ-ჯერობით შემოსწირეს ორას-ორასი კრამიტი სვიმონა მენთეშაშვილმა და ნიკა მჭედლიშვილმა. დიდის მადლობით და გაზეთში სახელ-გვარის გამოცხადებით მიღებული იქნება ყოველგვარი შემოწირულება, რომელიც უნდა გამოიგზავნოს მოხსენებულ ორმოც მოწამის ეკლესიის მნათის ბაგრატ მენთეშაშვილის სახელზე ს. ქვემო-მაჩხაანში.

◆ 3 იანვარს საღამოს 9 ნახ. საათზე ხუთი შეიარაღებული თავს დაესხა სოფ. მაღაროს მღვდელს იერემია ქრელაშვილს და მოსთხოვეს 200 მანეთი, 25 მანეთი ფულად წაართვეს და 25 მანეთის სხვა და სხვა ვერცხლის ნივთები წაიღეს.

◆ 3 იანვარს სიღნაღის სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებამ გამართა საცეკვაო საღამო, რომლიდანაც შემოვიდა ხარჯებ გაუსტუმრებლად 160 მანეთამდის. („ხმა კახ.“)

ჟურნალისტის დღიური

112.

ჩემი პასუხი.

როდესაც ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას საყვედური შევუთვალე, იმ ერთი მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი, რომ გამგეობა ამ საყვედურს მხედველობაში მიიღებს და შემდეგისთვის მაინც ეცდება ისე მოაწყოს საქმე, რომ ქართული გაზეთების აბუჩად აგდება ველარავინ გაბედოს მეტქი. რას ვიფიქრებდი, თუ გამგეობა თავის მართლებას დაიწყებდა და გულ-დამშვიდებით იტყოდა, მე რა ვქნა, თუ ჩემს თეატრში ვიღაც გადამთიელი ქართულს გაზეთს პანღურს ამოჰკრავსო. დრამატიული საზოგადოების გამგეობა კი სწორედ ამ ჰანგებზედა მღერის. აი რანაირი პასუხი მომწერა მან:

პასუხად ბ-ნ შინაურს.

სეზონის დაწყებამდე ქართული თეატრის დირექციამ ტფილისში მყოფ ქართულ და რუსულ გაზეთების რედაქციებს დაურიგა სეზონის ბილეთები, რომელზედაც დიდის ასოებით წარწერილია რუსულად და ქართულად: „ქართული წარმოდგენების სეზონის ბილეთი“, (Сезонный билетъ на Грузинскіе спектакли) და ამით უკვე აღნიშნა ის უფლება, რომელიც მიეკუთვნა ტფილისის გაზეთების - რეცენზენტებს. როდესაც თეატრი ქირავდება, ყოველი გროში შემოსავლისა ეკუთვნის დამქირავებელს და მაშასადამე უფასო ადგილების დარიგება მისივე უფლებაა. ჩვენ-კი ბრალი არ მიგვიძღვის იმაში, რომ ბ. გეს წარმომადგენელმა მოისურვა **მხოლოდ რუსულ გაზეთებისთვის** მიეცა რეცენზენტებისათვის [illegible] ადგილები.

გაუგებარია, ჭეშმარიტად, საყვ დური ბ. შინაურისა.

ქართული დრამატიული საზოგა დოების გამგეობ

—

P. S. ამასთანავე გიგზავნი რეცენზენტის ბილეთის ნიმუშს.

ქ. დ. ს. გ.

უპირველესად ყოვლისა უნდა აღვ ნიშნოთ, რომ, როდესაც ჩემს წ რილსა ვწერდი, არ ვიცოდი, თ ბ-ნ გეს წარმომადგენელს **მხოლოდ** ქართულ გაზეთებისთვის არ მიუც ბილეთები. მე გამგეობა საყვედური ღირსად მიმაჩნია იმ შემთხვევაშიაც თუ რუსულ გაზეთებსაც არ მისცემ დნენ, მაგრამ ეხლა თვით გამგეობი საგან ვიგებ, რომ ბილეთები რუსულ გაზეთებისთვის მიუციათ, მაგრა ქართულ გაზეთებისთვის კი-არა ა შემთხვევაში ეროი ასად დამნა შავეა დრამატიული საზოგადოე ბის გამგეობა. როგორ შეუძ ლიან გამგეობას გულ-გრილად უე ქერის ასეთს უტიფრობას და აბუ ჩად აგდებას ქართულ პრესისას? სხვაგან, ვსთქვათ პოლონეთში, სა დაც თავიანთ თავის პატივისცემ იციან, ამისთანა უტიფარ ანტრეპრე ნიორს ამოჰკრავდნენ პანღურს, ჩვენ ში კი, სადაც კულტურულ დაწეს ბულებას სათავეში უდგანან პირნ რომელთაც ქართული ეროვნული თავმოყვარეობა და სიმაყე აღარა აქვთ, არამც თუ ითმენენ ასეთს წ სესს, არამედ პილატესავით ხელსა იბანენ და გაიძახიან, რა ჩვენი საქმეა, თუ ჩვენსავე თეატრში რუსულ გა ზეთებს უპირატესობას აძლევენო.

დრამატიულ საზოგადოების გამ გეობას ბილეთის ნიმუში გამოუგზა ვნია, ალბად ჭკუის სასწავლებლად თუ! ირონიის სუნი უდის ამ საქციე ილს, და ამიტომ მოვახსენებ მას, რომ თუ არის ვინმე ამ შემთხვევაში მასხარად ასაგდები, ისევ-თვით გამ გეობა.

ქართული წარმოდგენების ბილე თი აქ არაფერს შუაშია. ჩვენც ძა ლიან კარგად ვიცით, რომ დრამა ტიულ საზოგადოების გამგეობას თა ვისი დასი ჰყავს და თავის წარმოდ გენებსაც ჰმართავს. მაგრამ ვიცით ისიც, რომ იმავე გამგეობას იჯარი თა აქვს აღებული ქართული თეატ რი და, მაშასადამე, მისი დროებითი პატრონიცაა. ჩვენ მივმართეთ დრამა ტიულ საზოგადოების გამგეობას არა როგორც ანტრეპრენიორს, არამედ როგორც თეატრის პატრონს, რო გორც თეატრის გამქირავებელს, თუ მიუხედავად ამისა, გამგეობა მაინც თავის სეზონის ბილეთზე გვითითებს ამით მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ან განზრახ იბრმავებს თვალებს, ან მართლა ბრმაა. ორივე მდგომარეო ბა სასიამოვნო არ უნდა იყოს.

გამგეობა გულ-უბრყვილობს, ვი თომც ვერ გაუგია, რაში გამოიხა ტება ჩვენი საყვედური. ჩვენ ვთხოუ

ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე

„დადუმებული ქნარი“

(შემდეგი *)

4

რამდენადაც **რუხაძეს** სრული ბედნიერება, აბსოლიუტური განხორციელება იდეალურ სატრფოისა შესაძლოდ მიაჩნია, იმდენად **შანშიაშვილსა და გრიშაშვილს** იჭვი და სევდა იპყრობს სატრფოს მოახლოებასთან ერთად... რამდენადაც ისინი ღრმად შევლენ სიყვარულის წიაღში, რამდენადაც უფრო დაუახლოვდებიან მათ, იმდენად უფრო ჩქარის ნაბიჯით მიდის მათი პიროვნების „გაორების“ პროცესი. აქაც, მაშასადამე, სიყვარულისა და სატრფოს გზაზე დაბრკოლებას ვხედავთ, მაგრამ ეგ დაბრკოლება „ბელზებელის“, ბოროტი ძალების მიერ არ არის გამოწვეული, მისი მიზეზი არ არის პოეტის პიროვნების გარეშე მდგომი,—ობიექტიური მოვლენა... იგი არ წარმოადგენს რეალურად გამოსახულ ძალას, მაგრამ მასზე უფრო მეტი ძლიერების მატარებელია. ეს დაბრკოლება წმინდა ფსიხოლოგიურია, სუბიექტიური და—უფრო ტრაგიკულიც.

თუ სატრფოს დაახლოვება, მასთან ყოფნა რუხაძეს სიამესა და შვებასა ჰგვრიდა, შანშიაშვილსა და გრიშაშვილს, წინააღმდეგ, წამებასა და ცრემლს აფრქვევინებს... რადგან, რამდენადაც უფრო უახლოვდება სატრფოს, იდეალს, იმდენად უფრო ამჩნევს მის არსებაში მომწყვდეულ მრავალგვარ საიდუმლოებას:

„რას გადარო, რას?—არ ვიცი... რა ხარ: მიწის თუ ცის არსი?
ახ, არ ძალმიძს სულში ჩაგწვდე და გაგიგო შინაარსი“-ო.

ამბობს ი. გრიშაშვილი *).

ამგვარი აზრი **ა. შანშიაშვილს** უფრო მძლავრად გამოუხატავს სხვა და სხვა ლექსებში; ჩვენ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ორიოდ ლექსზე; ავიღოთ ლექსი: „ჟამსა ღამის ლოცვისასა“, იგი ნამდვილი ფსალმუნია, პოეტის გულის სიღრმიდან ამონახეთქი ლოცვა და ამ „ლოცვის დროს შიში იპყრობს, გული უთრთის, უკანკალებს“... ამ მარტოობის დროს მას მოევლინება „ის“, რომელსაც მუდამ დაეძებს პოეტი და რომლის სიახლოვეს მუდამ უფრთხის იგი, რადგან ამ სიახლოვის დროს „მისი“ სულის გამოუცნობლობა და სიუცხოვე უფრო სავალალო და ტრაგიკულია.

„ვიღაც მიმზერს“, გაშტერებით,
ამეტყველებს ცეცხლის თვალებს.
ჯადო ხარ, თუ სული წმიდა, ეურჩები ძალთა-ძალებს?“

მაგრამ „იგი“ სდუმს და ბოლომდის აუხსნელ, საიდუმლო „სფინქსად“ რჩება პოეტის არსებისათვის და ტყუილი შეიქმნა შანშიაშვილის ვედრება მისდამი:

„სთქვი, რად სდუმხარ ეგრე ცივად,
რად მზერ ნიავს გასამალებს?“

ეხლა ავიღოთ მისივე მეორე ლექსი, რომელიც ეხლახან დაიბეჭდა გაზ. „თემის“ მე-62 ნომერში „სიზმრის“ სათაურით.

აქ პოეტსა ჰყავს თავისი „სიზმრის მეგობარი“, რომელიც იტანჯება და პოეტსაც თვისკენ იხმობს, „სპეტაკ ცრემლით იქარგება სევდით სავსე მისი მზერა“; მაგრამ ამ ოცნების სამეფოდან, ფიქრთა სამყაროდან პოეტი სინამდვილეში გადმოდის, სიფხიზლის თვალით იყურება და ამჩნევს, რომ საოცნებო სახე „მის შუქის მფრქვევ ღიმილით და წაბლისფერ თმა ნაწნავით სავსებით ჰქრება.

„და დავეძებ ჩემს მეგობარს, მენატრება მის მზერა,
იგი, **სიზმრად განუყრელი, ცხადად ვნახო არა მჯერა!**“..

ასეთია პოეტის სიყვარული; სანამ სატრფო შორს იდგა, იგი მისკენ მიიწევდა, შესტრფოდა შორით, რაკი ჰპოვა, რა მოისმინა მისგან „მიყვარხარ“, იჭვით აღივსო, ამ სიყვარულის წიაღში შვების ნაცვლად წინააღმდეგობა და საიდუმლო ტანჯვა ჰხვდა წილად:

„მაგრამ როს მითხარ: „მეც მიყვარხარო!“
და გადმიშალე გრძნობა ცხოველი;—
შენი ალერსი აღარ მატკბობდა:
ძვირფასი იყავ მიუწვდომელი!-
(იხ. „სამი ხმა“.)

აქ ვხედავთ, რომ სიყვარული უფრო ღრმავდება და მისი განხორციელება შეუძლებელი ხდება, რადგან წინააღმდეგობით არის აღსავსე... მისი იდეალური სახე ოცნების სამეფოში ბუდობს და ხორც შესხმული იგი მუდამ უარყოფითი და წარმავალი იქნება პოეტისათვის. ამგვარ დაუკმაყოფილებლობას, ამგვარ იჭვნეულობას და პიროვნების გაორებას ჩვენ დავინახავთ უკვდავ მგოსნის ნ. ბარათაშვილის პოეზიაშიაც, (იხ. „ხმა იდუმალი“), მაგრამ ეს თემა, ფრიად საინტერესო, მეტად შორს წაგვიყვანდა, საგანს დაგვაშორებდა და ამიტომ უმჯობესია იგი შემდეგისთვის გადავდოთ.

—

ჩვენთვის საინტერესო იყო დაგვენახა განსხვავება ვ. რუხაძის იდეალისადმი, რომლის მუდმივი და სრული სიმბოლო სატრფოა, და მეორე ჯურის მწერალთა სატრფოსადმი; მით უმეტეს, რომ ესენი ტიპიური წარმომადგენელნი არიან ორ სხვა და სხვა მიმართულებისა ჩვენს ახალ ლიტერატურაში.

ამ მხრივ დავინახეთ, რომ შანშიაშვილი და გრიშაშვილი რუხაძეზე წინ წავიდნენ და მისი გზა გააგრძელეს: თუ პირველი მხოლოდ ობიექტიურ დაბრკოლებას ებრძოდა და სატრფოს ხილვით სრულ მიზანს მიღწეულად მიაჩნდა თავი, მეორენი ამ ბრძოლის საჭიროებას მეორე, უფრო მნიშვნელოვან, სფეროში ჰხედავენ: ეს არის სიყვარულის ნამდვილ შინაარსის ახსნისათვის ბრძოლა. მას შემდეგ რაც სატრფოს მიაღწიეს, მაგრამ მიზანი კი მის გარეშე დარჩა. აქ მათ გარეშე დაბრკოლებანი აღარ ელობებათ, მაგრამ ტრაგედია მაინც არის, რადგან არის საშინელი ფსიხიური ბრძოლა. ამიტომ ამ მწერალთა ასპარეზი უფრო ხშირად გრძნობათა და განცდათა სამეფოში ტრიალებს და არა ემპირიულ საზღვრებში, როგორც ვარლამ რუხაძისა.

5:

ზევით ვთქვით, რომ ვ. რუხაძის უტყუარი ნიჭი გამოიხატა ზოგიერთ სადა, მარტივ, ტენდენციოზურ ხასიათს მოკლებულ სურათებში.

მხატვარს უმთავრეს ღირსებად უნდა ჩაეთვალოს, თუ კი იგი რომელიმე ნაწარმოებში შექმნილ სულის კვეთებას, ბუნებრივ გრძნობას, ბოლომდე ცოცხლად ჩაატარებს. ამ შემთხვევაში მკითხველი მშვენიერების გრძნობასა და ნეტარებას განიცდის.

ამგვარ ლექსებს ძალიან ცოტას შეხვდებით ვარლამ რუხაძის კრებულში; ერთ ამგვარზე უკვე მივუთითეთ მკითხველ „(თაიგული“), აქ ცოცხალი, ლამაზი და ფერადი სურათებია, რომლის კითხვის დროს ესთეტიურ სიამოვნებას განიცდით; არა ნაკლებ მხატვრულად არის დაწერილი ლექსები: „ნაკადული“, „ახ, ერთხელ კიდევ მასმინე ის ხმა!“, „ჯეჯილი“ და ორიოდე სხვაც. ამ ლექსებში, რომელთაც ტენდენციური, პროგრამული ხასიათი არა აქვს, ხშირად შეხვდებით ფრიად უბრალო, მაგრამ ლამაზ სურათებს:

„ჯეჯილი ღელავს, ბიბინებს,
ნიავი ყელზე ეხვევა,
მზე დაქათქათებს, სხივები
ლამაზ გულ-მკერდზე ეფრქვევა,
მთვარე შუქსა ფენს, ცისკარი,
თავს დაციმციმებს ტრფობითა,
ნამი პირსა ბანს, ნაკადი
ტკბილად უმღერის გრძნობითა“
და სხვ. „ჯეჯილი“.

ვარლამ რუხაძე კარგი მხატვარია, თავისებური სიმარტივითა და გულწრფელობით იგი ხშირად იპყრობს მკითხველის სიმპატიას, მაგრამ, სამწუხაროდ, მხატვარ ვარლამ რუხაძეს ჰყავს მტერი,—განსაზღვრულ პროგრამის მაღიარებელი ვარლამ რუხაძე და, სამწუხაროდ, ეს მეორე უფრო ძლიერია პირველზე; ხოლო სანამ ეს ასე იქნება, სანამ პროგრამული რუხაძე არა სძლევს მხატვარ რუხაძეს, მანამ მისი შემოქმედება არაბუნებრივობის ხასიათს მატარებელი დარჩება, მანამ მას საშინელი ერთფეროვნება შთანთქავს და, როგორც წეღან ვსთქვი, მის ქნარს დადუმებულად აქცევს.

ამიტომ ხდება, რომ ლექსების უმრავლესობა მხატვრულად და ლამაზად იწყება, მასში ლამაზი მუსიკაა, მაგრამ მიუახლოვდება თუ არა ლექსის დასასრულს პოეტი, უცებ მას შიში იპყრობს-ვაი თუ კარგად ვერ გავატარე ჩემი მსოფლ-მხედველობა, პროგრამული პლატფორმა, ვერ გამოვსახე პარტიული „credo“-ო და აქ ხელოვნურად ჩაუქდობს რამდენიმე სტრიქონებს მაშვრალთა განთავისუფლების, დროშის ფრიალისა და ძმობა-ერთობის შესახებ. ჩაურთავს სურათებს, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, არავითარი კავშირი არა აქვს წინედ გამოხატულ სულის კვეთებასთან... მკითხველი ამჩნევს ამ სიყალბეს, ამ არაბუნებრიობას და გულწრფელად სწუხს, სწუხს პოეზიის წამებისათვის, სწუხს მხატვარ რუხაძისთვის. ასე ხდება პოეტის ლექსთა უმრავლესობაში, ასეთ ხელოვნურ კილოთია დაწერილი უმეტესი ნაწილი მისი ლექსებისა.

პოეტი ერთ ლექსში („პესიმისტი“) ლამაზ სურათს აგვიწერს, წარმტაც დეკორაციებს გვიხატავს:

„ზურმუხტ ფერდობზე ცისარტყელასა
შვიდ ფეროვანი გაევლო ზოლი,
ძირს ნაკადული მოჩხრიალებდა
ანკარა, როგორც ცრემლი ობოლი“ და სხვ.

(დასასრული იქნება).

აკაკი პაპავა.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 791.

*) იხ. კრებული „ოცნების კოცნა“, გვ. 8.

ლობთ გამგეობისაგან, რომ მან, როგორც თეატრის პატრონმა და ქართულ კულტურულ დაწესებულების მეთაურმა, სათანადოდ დაიცვას პრესტიჟი ქართულ პრესისა იმათ წინაშე, ვისაც შესაძლებლად მიაჩნია ქართული პრესის აბუჩად აგდება. ეს კი მას შეუძლიან აი როგორ: როდესაც ბ. გეს წარმომადგენელი მოვიდოდა გამგეობასთან პირობის დასადებად, ამ უკანასკნელს უნდა ეთქვა, თეატრს გაძლევთ იმ პირობით, თუ ქართულ პრესის წარმომადგენლებს განსაზღვრულ ადგილს დაუთმობთ. არა გნებავთ? მიბრძანდით, საიდანაც მოსულხართ.

მხოლოდ ამნაირად შეუძლიან ილაპარაკოს ქართული თეატრის პატრონმა. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ არ მოისურვა ასე ლაპარაკი, და ამიტომ დამნაშავეც არის იგი. მაგრამ დავანებოთ ყველა ამას თავი. გამგეობის წევრნი, როგორც ქართველები, ნუ თუ შეურაცყოფილად არა გრძნობენ თავს, რომ ანტრეპრენიორი საქართველოს დედა-ქალაქში მოდის, ქართულ თეატრში წარმოდგენებს ჰმართავს და ქართულ გაზეთებს კი ჯვარს უსვამს. ნუ თუ, როგორც ქართველებმა, შეგიძლიანთ გულ-გრილად უცქიროთ ისეთს მდგომარეობას, როდესაც საკუთარ სახლში შენ პანღურსა გკრავენ და სხვებს კი ფართოდ უღებენ კარებს?

მიპასუხეთ, თქვენი თავ-მოყვარეობა შელახული არ არის?

შინაური.

ალ. ხახანაშვილის ხსოვნას.

(მოსკოვის ეტნოგრაფიული საზოგადოების კრება 28 დეკემბერს 1912 წ.)

„ჩემი პირველი შეხვედრა ხახანაშვილთანი,—დაიწყო აკადემიკოსმა ვ. ფ. მილლერმა—ოთხმოციან წლებში მოხდა. მე ვიყავ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ის კი იყო სტუდენტი, ჯერ სულ ახალგაზდა, ლამაზი სახის, ტანათ საშუალო; მისი ნაღვლიანი თვალები და მომხიბლავი ღიმილი გაცნობისათანავე იზიდავდა ადამიანს. მან ჩემზე კარგი შთაბეჭდილება იქონია და რამდენადაც მას შემდეგ ვეცნობოდი ეს ჩემი გრძნობა თანდათან მტკიცდებოდა. შრომის მოყვარეობა და მეცნიერებისადმი ლტოლვილება თავიდანვე ეტყობოდა მას. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ის იყო ერთად-ერთი სტუდენტი, რომელიც პროფესორ გერიემ თხზულებებისათვის დააჯილდოვა ვერცხლის მედლით, დამეთანხმებით, რომ ის ყმაწვილი შრომის მოყვარეობის გარდა კიდევ ყოფილა აღჭურვილი იმისთანა რამეთი, რასაც უბრალო მომაკვდავი მოკლებულია. პროფესორი გერიე რომ სასტიკი და ფრიად ძუნწი იყო ჯილდოზე—ეს ყველასათვის ცნობილია. ალ. ხახანაშვილი იმ თავიდანვე შეუდგა წერას და კალამი არ გაუგდია უკანასკნელ წუთამდე. საგულისხმიერო ამ ნაწერებში ის არის, რომ ავტორი უმეტესად თავის ხალხის ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს და მისი სულის კვეთებას მოგვითხრობდა და ვინაიდან ის აუარება ჟურნალ-გაზეთებში ღებულობდა მონაწილეობას როგორც სამშობლო ენაზე, ისე რუსულ, გერმანულ და ფრანგულზე, ამის გამო მისი სიკვდილი უპირველესად ჩვენ, ეტნოგრაფებს, დაგვეტყობა. ხახანაშვილს საშუალო ხარისხის პროფესორად ვთვლიდი, მაგრამ უკანასკნელ ხანებში, როდესაც გულდასმით, გავეცან მის შრომას, ჩემ განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა. ეს კაცი ბუმბერაზივით აღიმართა ჩემ წინაშე. ასე ხდება უმეტეს ნაწილად ცხოვრებაში: ხშირად გაივლით ხოლმე ხის მახლობლად და თქვენ ყურადღებას არ იქცევს ის, მაგრამ როდესაც მას წაქცეულს და მიწაზე გაშხლართულს, ჰხედავთ, ვერ წარმოგიდგენიათ, თუ აქამდე რატომ ვერ ამჩნევდით მის სისხო-სიდიდეს. ასე მოულოდნელი იყო ჩემთვის ალ. ხახანაშვილის სიდიადე. ის ეკუთვნოდა ისეთ ჯურის მეცნიერებს, რომელიც მუდამ შრომაში, მუშაობაში ატარებს თავის ცხოვრებას და თავის თავზე კი არას ლაპარაკობს, მეტად თავაზიანი, პატიოსანი და კეთილშობილების განხორციელება იყო. მთელი თავისი ცხოვრებით ამას ამტკიცებდა განსვენებული და სიკვდილით რომ სრულიად გადააჭარბა ყოველი მოლოდინს, მან უანდერძა მთელი თავისი ქონება თავის საყვარელ სამშობლოს. თუ სიცოცხლეში ხახანაშვილი თავისი მოქმედებით ზნეობრივად ამხნევებდა თანამემამულეებს, სიკვდილის შემდეგ გააძლიერა დაწესებულება, რომლის მიზანია აღამაღლოს ქართველი ხალხის კულტურა“.

დასასრულ მილლერმა თვისი წრფელი სურვილი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ არ გაუქმებულიყვეს ქართული კათედრა ლაზარევის ინსტიტუტში და უნივერსიტეტში. ამ თხოვნით მან მიჰმართა იქვე მყოფ გრაფინია უვაროვისას, რომელმაც ყოველნაირი დახმარება აღუთქვა.

ალ. ჯავახიშვილის ვრცელი მოხსენება, რომელიც მილლერის სიტყვის შემდეგ იყო წაკითხული, შეეხებოდა ალ. ხახანაშვილის ბიოგრაფიულ ცნობების გარდა მის საერთო მოღვაწეობას. სამწუხაროდ განსვენებულის საზოგადოებრივ მოღვაწეობას მომხსენებელმა საჭირო ყურადღება არ ათხოვა.

ექიმ ვლ. ნემსაძე.

ქართულ დრამატიულ საზოგ. გამგეობისადმი.

როგორც გადმოგვცეს, „სამშობლოს“ წარმოდგენის დროს პარტერის ერთ ერთ წინა რიგში მჯდომარე ვაჭართან, რომელიც ყარაჩოღულ ჩოხითა და ფართო ვერცხლის ქამრით იყო, მისულა თეატრის მოსამსახურე და თეატრიდან გასვლა უთხოვია. იმას იმის შეკითხვაზე, თუ რადაო, „კაპელდინერს“ უპასუხნია: ასე გვიბრძანესო. ასეთი განკარგულება მოუხდენია გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელს ბ. ტარსაიძეს, რომელსაც კასაში განუცხადებია „ნუ მიჰყიდით პარტერის ბილეთებს ასეთ ტანისამოსში გამოწყობილთაო. ამიტომ ჩვენ მოვალედ ვრაცხთ თავს შევეკითხოთ გამგეობას: 1) რამდენად მართალია აქ აღნიშნული ამბავი. 2) თუ ეს მართალია, როდის დაადგინა გამგეობამ, ან საზოგადო კრებამ, რომ ქართულ წარმოდგენებზე პარტერში ქართულ ტანისამოსით გამოწყობილი მსმენელები არ შეუშვან? 3) თუ ასეთი დადგენილება იყო, რამ გამოიწვია ლოდი? 4) შემოღებულია თუ არა ქართულ წარმოდგენებისათვის განსაკუთრებული ტანისამოსი, როგორც მაგალითად „სმაკონგი“, „ფრაკი“ „დეკოლტე“ და სხვა.

იმედია დრამატიული საზოგადოების. გამგეობამ უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ შეკითხვას.

კორდელი.

ხმა ხარაგაულიდან

27 დეკემბერს მოხდა ხარაგაულის უფასო სამკითხველოს წევრთა კრება, რომელსაც დაესწრო ოცამდე წევრი. სამკითხველოს თავმჯდომარემ ბ. პლ. ლეჟავამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო კრების მოწვევის მიზანი და წაუკითხა დღიური წესრიგი, რომელიც შესდგებოდა შემდეგი კითხვებისაგან: ა) ფულის შემოტანა, ბ) გამგეობის მეხუთე წევრის არჩევა, გ) შენობის გათბობა, დ) რა ჟურნალ-გაზეთები იქმნეს გამოწერილი 1913 წ., ე) რა ზომები იქმნეს მიღებული იმ წევრების წინააღმდეგ, რომელთაც 1912 წ. საწევრო ფული ჯერ სრულად არ შემოუტანია და ვ) წიგნის მაღაზიის გახსნა.

კრებამ დაადგინა: გამგეობას დაევალოს, რომ მათ მოაგროვონ საწევრო გადასახადი წევრთა შორის, როგორც წერილების დაგზავნით, აგრეთვე პირადის თხოვნით. გამგეობის მეხუთე წევრად ერთხმად აირჩიეს ხარაგაულის ორ კლასიან სამინისტრო სკოლის ზედამხედველი ვლ. სახ. არეშიძე. სახლის გათბობისთვის კრებამ ხუთი მანეთი გადასდო, რომელიც უნდა გადაეცეს სახლის მეპატრონეს, რომელიც ამ ფასში დასთანხმდა კრებას, სახლი გაათბოს დღეიდან მარტის შუა რიცხვებამდე. გამოწერილი უნდა იქმნეს ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები და აგრეთვე რუსული ჟურნალ-გაზეთები შეძლებისდაგვარად. იმ წევრების შესახებ, რომელთაც ჯერ კიდევ არ შემოუტანიათ 1912 წ. საწევრო ფული, კრებამ დაავალა გამგეობას ერთხელ კიდევ მოაგონოს ხვედრი ფულის შემოტანა. დასასრულ კრებამ ხანგრძლივი მსჯელობა იქონია სამკითხველოს მუდმივ მაცოცხლებელ წყაროს გამონახვაზე. ასეთ უებარ საშუალებით დაასახელა **წიგნის მაღაზია**, რომლის შემოსავალი, ანუ მოგება, სამკითხველოს უნდა მოხმარდეს. ნავარაუდევი ანგარიშით აღმოჩნდა, რომ წიგნის მაღაზიას ყოველივე ხარჯს გარდა შეუძლიან მოგება მისცეს სამკითხველოს 200 მანეთამდე და ამ თანხას კი შეუძლიან თავისუფლად არსებობა. ამიტომ არჩეულ იქმნა სამი წევრისაგან შემდგარი კომისია, რომლებშიაც არიან შემდეგი პირები: პლ. ლეჟავა, ვლ. არეშიძე, და კონ. კამკამიძე; ამ პირებს კრებამ დაავალა წიგნის მაღაზიის გახსნის შესახებ მზრუნველობა და მისი მოწეს-რიგება ყოველის მხრით და შემდეგ კრებაზე მოხსენება თავიანთი ნამოქმედარისა. ზოგიერთმა წევრებმა სამკითხველოს გაზეთები გამოუწერა იმ პირობით, რომ საწევრო ფული ორი მანეთი ჩაეთვალოთ შემოტანილად და ზედმეტი კი შემოწირულად. დღემდე სამკითხველოს ჰყავს ორმოცამდე წევრი, იმედია რომ წევრები კიდევ მოემატება და საწევრო ფულსაც დროით გადაიხდიან, რითაც ხელს შეუწყობენ ჟურნალ-გაზეთების და ზოგიერთი წიგნების გამომწერს. კრებამ დაავალა გამგეობას გამოიწეროს ი. ჭავჭავაძის თხზულებანი ექ. გედევანიშვილის გამოცემა (ღირებული 8 მან.) ექ. გურგენიძის შემოწირული ფულით.

ასკეტი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

5—6 იანვარი.

ლონდონი. ჩერნოგორიის დელეგატებმა პროტესტი განაცხადეს ალბანეთის საზღვრებში სკუტარის მოქცევის გამო და ელჩთა კონფერენციას წინადადები წარუდგინეს, მდინარე დრინი იყოს საზღვრად ჩერნოგორიისა და ალბანეთისა. წინადადებაში ნათქვამია: ჩერნოგორია პოლიტიკურად გაქრობას ამჯობინებს, ვიდრე სკუტარს გაუშვებდეს ხელიდანო.

ცეტინიე. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტი მიიღო მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფმა ტომანოვიჩმა და უთხრა: ალბანეთის დამოუკიდებლობის განხორციელება ისტორიაში პირველი შემთხვევა იქნება, რაიც სრულიად არღვევს საერთაშორისო ურთიერთობის ნორმებს. ჯერ ერთი ალბანელების უმრავლესობა მუსულმანობაა, რომელიც ველურ ელემენტს წარმოადგენსო. დაუჯერებელია, რომ ველურმა არნაუტებმა შეიმუშავონ თანამედროვე სახელმწიფოებრივი ფორმა. მეორე—ვინ დაარსებს ახალ სახელმწიფოს. იტალია და ავსტრია ხომ არ მისცემენ ერთმანეთს ნებას ეს საქმე მოაგვარონ? მესამე—ვინ იქნება მონარქი ახალ სახელმწიფოსი: ქრისტიანი თუ მაჰმადიანი? შეთანხმდებიან თუ არა დიდი სახელმწიფონი მონარქის არჩევაში? მეოთხე რა საზღვრები უნდა ჰქონდეს ახალ სახელმწიფოს? ევროპის დიპლომატიამ მიიღო ალბანეთის დამოუკიდებლობა და უნდა ეს საკითხებიც გადასწყვიტოს. ბალკანეთის კავშირი მშვიდობიანად დაუცდის ამ საკითხების გამორკვევას. ეს საქმე ბალკანეთის კავშირის წინააღმდეგ არის დაწყებული, მაგრამ საშიშია რომ მოთმინება საწინააღმდეგოდ არ გადაიქცეს იგიო.

სოფია. პოლიტიკოსთა წრეებში დიდ მნიშვნელობას აწერენ მუსტაფა-ფაშაში მომხდარ თათბირს. მეფის წული ბორისი ახალ წლიდან ჯარში დარჩება. ეს ამბავი საშიშ ნიშნებს მოასწავებს. ჯარს უმოქმედობა ძლიერ აღელვებს. მეფემ და მისმა მემკვიდრემ უკანასკნელად დაათვალიერეს ჯარი. ჯარი საომრად განმზადებულია. სამხედრო მოქმედების გეგმა შედგენილი აქვთ. დიდ სახელმწიფოთა ჩარევაზე დიდ იმედებს არ ამყარებენ.

ათინა. ოსმალეთის ფლოტი, რომელიც 5 იანვარს სრუტიდან გამოვიდა, საბერძნეთის ფლოტმა დაამარცხა.

ათინა. ოფიციალური ცნობა; ოსმალეთის ფლოტი გამოვიდა თუ არა სრუტიდან სამხრეთით კუნძულ თენედოსისკენ გაემართა. იქ საბერძნეთის ფლოტთან შეტაკება მოუხდა. ბრძოლამ ორ საათს გასტანა. ფლოტი სრუტეებისკენვე გაბრუნდა.

სოფია. „მირი“ უარჰყოფს, ვითომც სერბია არ ასრულებდეს მოკავშირეთა ხელშეკრულების დებულებას, იმ მიზეზით, რომ ბულგარეთმა პირველმა დაარღვია იგიო. სერბიის უარზე ლაპარაკიც მეტიაო.

ათინა. ადმირალი კუნდურიოტი დეპეშით იტყობინება: ღამე ჯავშნიანი გემი „ჰამიდიე“ თენედოსის და მავრიის კუნძულებს შუა დასცურავდა. დილით ფლოტი ჯავშნიან და ნაღმოსან გემებიანად გამოვიდა სრუტიდან და იმბროსისკენ გაემართა. თენედოსის კუნძულზე ოცი მილის მოშორებით შეჩერდა. საბერძნეთის ფლოტი დაუყოვნებლივ გაემართა შესახვედრად. თენედოსის გუბერნატორის ცნობით, ბრძოლა დაიწყო დილის 11 საათსა და 25 წუთზე. 12 საათზე ოსმალეთის ფლოტმა უკან-უკან დაიწყო დახევა პირველ საათსა და 10 წუთზე უწესრიგოდ გაემართა სრუტესკენ. მდევრად გამოეკიდა „ავეროვი“. სამის ნახევარზე ბრძოლა დასრულდა. საბერძნეთის ფლოტის დანაკლისი უმნიშვნელოა.

სტამბოლი. ოსმალეთის მმართველთა წრეებში ირწმუნებიან, რომ სამეფო გვარეულობა ადრიანოპოლის დათმობას არ სთანხმდებიანო. მათის აზრით ადრიანოპოლის დათმობა მოასწავებს ევროპის ოსმალეთის სრულ გაქრობას. ამ აზრს თანაუგრძნობს ჯარის უდიდესი ნაწილი.

სტამბოლი. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ჩათალჯაში და გალიპოლში აუარებელი ჯარი იგზავნება. აფიცრებს, რომელნიც დასასვენებლად იყვნენ დათხოვნილნი, სასტიკად ებრძანათ დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ მთავარ ბინაზე, სადაც ბულგართა თავდასხმას მოელიან. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალნი ბრძოლის ჟინით არიან გაჟღენთილნი, სულთანის უკანასკნელ ირადეში შერიგების და მშვიდობიანობის ჰანგი ისმის.

სტამბოლი. ოფიციალურის ცნობებით, 5 იანვარს ლემნოსის მახლობლად საზღვაო ბრძოლა მოხდა. რამდენიმე ყუმბარა ბერძენთა გემს მოხვდა. სამი საათის ბრძოლის შემდეგ ოსმალეთის ფლოტი დარდანელში დაბრუნდა.

გაზეთებიდან.

მოლაპარაკების შეწყვეტის მოლოდინში.

ლონდონი. მოკავშირეებმა ის იყო გადასწყვიტეს, წერილობით შეეტყობინებინათ ოსმალეთის წარმომადგენლებისათვის მოლაპარაკების შეწყვეტის ამბავი, მაგრამ უკანასკნელ წუთს, ედუარდ გრეის რჩევით, დაადგინეს, მოუცადონ დიდ სახელმწიფოების მიერ წარდგენილ ნოტის პასუხს. მოლაპარაკების შეწყვეტისათანავე სამხედრო [illegible] შეატყობინებს [illegible] ზავის ვადის [illegible] და ოთხი დღის შემდეგ [illegible], ომი განახლდება. მოკავშირეთა წარმომადგენლები უფრო ადრე დასტოვებენ ლონდონს. წასვლისას ყველა რწმუნებული სენ-ჯემის სასახლეში წარუდგება ინგლისის მთავრობას მადლობის გადასახდელად.

მოკავშირეთა გადაწყვეტილება.

ვენა. ვენის სლავიანთა წრეებში ამტკიცებენ, რომ ბალკანეთის კავშირი, რაკი დარწმუნდა დიდი სახელმწიფოების ნოტის უფერულობას, მის წარდგენისათანავე აპირებს დროებითი ზავის შეწყვეტასა და საერთო ძალით ომის განახლებას. ასეთი გადაწყვეტილება ბალკანეთის კავშირმა საკუთარის თაოსნობით მიიღო, იმ მიზნით, რომ მეტი ძალა მისცეს ოსმალთა თვალში დიდ სახელმწიფოების მიერ წარდგენილ ნოტას.

ოსმალეთი უარს იტყვის.

ვენა. „ვიენერ ალგემ. ცეიტუნგი“ სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება, რომ ოსმალეთი, რა კი დარწმუნდება, რომ დიდი სახელმწიფოები მაინცა და მაინც დიდად ვერ აიძულებენ მას, რადგან მათ შორის არ არსებობს ერთსულოვნება, გადაჭრით უარს იტყვის ადრიანოპოლის დათმობაზე. კოლექტიური ნოტა მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ თუ ოსმალეთმა ადრიანოპოლის დათმობაზე უარი სთქვა, ამით იგი დაჰკარგავს ევროპის „კეთილ განწყობილებას“, ე. ი. ოსმალეთი ვეღარ მიიღებს ფულით დახმარებას ევროპისაგან.

ოსმალ. წარმომად. წასასვლელად ემზადებიან.

ვენა. ოსმალეთის წარმომადგენლებმა უარი უთხრეს ავსტრიის ელჩს ლონდონში, როდესაც ამ უკანასკნელმა სადილად დაჰპატიჟა იგინი; მიზეზად ის გარემოება დაასახელეს, რომ ხვალვე უნდა დავსტოვოთ ლონდონიო.

გერმანულ პრესის აზრი.

გერმანიის პრესა განაგრძობს კოლექტიურ ნოტის წინააღმდეგ გალაშქრებას. გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რომ სახელმწიფოები უმალ ერთმანეთს წაეკიდებიან, ვიდრე მათი კოლექტიური წინადადება სასურველ ნაყოფს გამოიღებსო.

ავსტრიის ხრიკები.

პარიზი. აქაურს დიპლომატიურს წრეებში კოლექტიურ ნოტის წარდგენის დაგვიანებას ავსტრიის საქციელს აწერენ, რომელიც მხარს უჭერს რუმინიას და ცდილობს, რომ ომის გათავებამ თავისუფლება არ მისცეს ბულგარეთს ატეხილ დავის თავის სასარგებლოდ გადასაწყვეტად.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები

ლონდონი. ელჩთა თათბირი დაიწყო 4 საათზე და 6 საათზე გათავდა.

ლონდონი. იონესკუ ბუქარესტში წავიდა.

ლონდონი. ელჩთა თათბირმა დაადგინა: მიანიჭოს ათონის სამონასტრო ძმობას დამოუკიდებლობა მსოფლიო პატრიარქის ხელმძღვანელობით და რუსეთის პროტექტორობით.

პეტერბურგი. 5 იანვარს საზღვარგარედ გაემგზავრა ბულგარეთის ფინანსთა მინისტრი თოდოროვი.

სტამბოლი. მინისტრთა საბჭო შეიკრიბა დიდ სახელმწიფოთა ნოტის საპასუხო წინადადების რედაქციის შესამუშავებლად. გადაჭრილი პასუხი არ იქნება, პორტა აუწყებს დიდ სახელმწიფოთ, რომ ადრიანოპოლის დათმობა ყოვლად შეუძლებელიაო.

სოფია. „მირი“ სწერს: ერთი გაზეთის ცნობა, ვითომც რუმინიისა და ბულგარეთის უთანხმოება მოსპობილიყვეს ბულგარეთის მხრივ ცოი სოფლის დათმობით მართალი არ არისო.

სოფია. როგორც ხმებია, რუმინიის მოსაზღვრე პროვინციები ბალჩიკისა, დობრიჩისა, კურდბუნარის და სილისტრისა, ამზადებენ ფერდინანდ მეფისთვის მისართმევად პეტიციას, საცა სთხოვენ მიიღონ მათი ერთგული სამსახური ბულგარეთის მიწა-წყლის დაცვაში და სხვის ხელში არ ჩააგდონ.

გაზეთებიდან

ბულგარეთი და რუმინია.

სოფია. ბულგარეთ რუმინიის მოლაპარაკება ოფიციალურად ბურუსშია გახვეული. არაოფიციალურად კი ეტყობა, რომ უკანასკნელი ხნის დამამშვიდებელი ცნობანი ნაადრევი გამოდგა. რუმინია მტკიცედ ადგია თავის მოთხოვნილებას, რომლის შეუფერებლობაც იმდენად დიდია ბულგარეთის მიერ განზრახულ შესაძლო დათმობასთან, რომ ყოველგვარი კომპრომისი მოუხერხებელია. მდგომარეობა აუტანელი გახდება, თუ სახელმწიფოები არ ჩაერივნენ. ყოველ შემთხვევაში ახლანდელი მთავრობა გადადგომას უფრო ირჩევს, ვიდრე სილისტრიის დათმობას, რომელსაც არაოდეს არ დაადასტურებს არც ხალხი და არც ნაციონალური კრება.

ბუქარესტის ცნობა.

ბერლინი. ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთმა ოფიციალურად განაცხადა, მზადა ვარ დავაკმაყოფილო რუმინიის მოთხოვნილებაო. ბულგარეთს განზრახული აქვს დობრუჯის საზღვრების გამოსწორება და 18 ცხის დათმობა, ხოლო სილისტრიის სიმაგრეებს დაანგრევენ და ქალაქი ისევ ბულგარეთს დარჩება.

ავსტრიის მობლიზაცია.

ბელგრადი. ავსტრიამ თავი მოუყარა „დუნაის საზოგადოების“ ყველა საბუქსირო გემს, ღამით ბელგრადის ახლოს გაიარა 20 საბუქსირო გემმა, და 180 იალქნიანმა ნავმა, რომელნიც მიტროვიცისკენ მიეშურებოდნენ, სადაც განზრახულია საზღვარს გადმოსვლა მოსალოდნელ ომის დროს; იქითკენვე იგზავნება მრავალი იარაღი და საომარი მასალა.

სერბიის თავდაცვა.

ვენა. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ ქ. ნიშსა და კრაგუევაცს შუა სერბიელები ძლიერ სიმაგრეებს აშენებენ. ყოველ დღე ათასი კაცი მუშაობს ფრანგ ინჟინრების ხელმძღვანელობით.

იტალიის საომარი სამზადისი.

ვენა. ავსტრიაში მცხოვრებ იტალიის სათადარიგო აფიცრებს ბრძანება მოუვიდათ, დაუყოვნებლად სამობილიზაციო პუნქტებზე გამოცხადდითო. ხმებია, იტალია 600.000 ჯარის-კაცს იწვევს თოფ ქვეშო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

5—6 იანვარი.

საზღვარ-გარედ

პუანკარეს პრეზიდენტად არჩევის გამო

პარიზი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ყველა მინისტრებმა გადასწყვიტეს თანამდებობიდან გადადგნენ. მათის აზრით გარეშე პოლიტიკის დღევანდელი ვითარება მოითხოვს გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნოს არა დროებითი აღმასრულებელი თანამდებობისა, არამედ ისეთი კაცი, რომელიც გამუდმებითი პასუხის მგებლობას იკისრებს. მინისტრ-პრეზიდენტის კანდიდატად ასახელებენ ბრიანს. შესაძლებელია გარეშე საქმეთა მინისტრად პიშონი მოიწვიონ.

პარიზი. პრეზიდენტის არჩევის გამო „ტანი“ აღნიშნავს, რომ პუანკარემ საფრანგეთის პოლიტიკას ერთგულების ხასიათი მისცაო.

პარიზი. ფალიერმა მიიღო დიუბოსტი და დეშანელი. შემდეგ მიიღო ბრიანი და დაავალა მას კაბინეტის შედგენა. ბრიანი პასუხს 6 იანვარს მისცემს.

რომი. პოლიტიკოსთა წრეში პუანკარეს პრეზიდენტობა კმაყოფილებას იწვევს. მაგრამ ერთი სიტყვითაც არ აღნიშნავენ, თუ როგორი იქნება შემდეგ იტალიისა და საფრანგეთის ურთიერთობაო. აქ არ დაჰვიწყებიათ პუანკარეს როლი მანუბას და კართაგენის ინცინდენტში, მაგრამ იმედს გამოსთქვამენ, რომ პუანკარე-პრეზიდენტი არ ეგვანება პრემიერ-პუანკარესო. პრესაც მის არჩევას თავ შეკავებით, მაგრამ თანაგრძნობით ეგებება.

პარიზი. პრესა სიამოვნებით აღნიშნავს პუანკარეს არჩევას. ერის იმედებსა და მოლოდინს პუანკარე გაამართლებსო. გაზეთების უმრავლესობა ამბობს, რომ პუანკარე რესპუბლიკანელთა უმრავლესობამ აირჩია. მისი არჩევა რესპუბლიკის პრესტიჟს განამტკიცებსო, საფრანგეთის პრესტიჟს აამაღლებს და ერის თვითშეგნობიერების განვითარებას ხელს შეუწყობსო.

კლემანსოსა და კომბის ორგანონიც ნდობით ეკიდებიან პუანკარეს არჩევას და მის მიუდგომლობას ხაზს უსვამენ. სოციალისტები განუსაზღვრელ სიხარულს გამოსთქვამენ პამსის დამარცხების გამო.

ლონდონი. პრესა თანაგრძნობით ეკიდება პუანკარეს არჩევას.

პარიზი. პუანკარემ მრავალი მისალოცი წერილი მიიღო. სხვათა შორის მიიღო რუსეთის იმპერატორისაგან, ბულგარეთის მეფისაგან, საქშვიდობო კონფერენციისაგან, კოკოვცევისაგან და საზონოვისაგან.

ვერსალი. როცა პუანკარე აირჩიეს, გაისმა ხანგრძლივი და მხურვალე ტაში ცემა ცენტრისა, მემარჯვენეთა და ზოგიერთ მემარცხენისა. მინისტრებით შემოხვეულმა პუანკარემ მოისმინა არჩევნების ოქმი. შემდეგ დიუბოსტი მიესალმა ახალ პრეზიდენტს. პუანკარემ მადლობა გადაუხადა ამომრჩეველთ. მინისტრთა საბჭოს სახელით მიესალმა ბრიანი. პუანკარე ვერსალიდან წავიდა რკინის გზით პარიზში. თან ახლდნენ მინისტრები. პუანკარე ავტომობილით ელისეის სასახლეში გაემართა ფალიერთან, ფალიერმა მიულოცა პუანკარეს პრეზიდენტობა, ერთმანეთს გადაეხვივნენ. გზად ხალხი პუანკარეს მანიფესტაციებს უმართავდა. ამის შემდეგ პუანკარე თავის კერძო ბინაზე წავიდა.

იაპონია.

ტოკიო. მთელ იაპონიის პრესის წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ რადგანაც კლანთა თვითნებობა კონსტიტუციის მთლიანობას ავნებს, ამისთვის პრესა და პარლამენტი შეთანხმებულად იბრძოლებენ კონსტიტუციის დასაცავად.

ჩინეთი და მონღოლეთი.

ურგა. მონღოლეთის მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ ჩინეთის ჯარი ცუნსუნიტ-ხობუნით და დარიგანგით ხალხას საზღვრისკენ იძვრისო. რაზმის უფროსი მშვიდობიან მცხოვრებთ ურჩევს ნუ შეშფოთდებიან, რადგანაც ჯარი ურგის მეამბოხეთა დასასჯელად მიდისო.

ურგა. ბაზარს მოედანზე შეჯახება მოხდა არახაუზეის პარტიის ჯარის-კაცთა და ჩინელ ვაჭართა შორის. მონღოლები ჩინელებს მიეშველნენ, რამაც ჯარისკაცთა უკმაყოფილება გამოიწვია. ერთმა ჯარისკაცმა ორი ლამა დასჭრა. ბრბომ სცემა მსროლელსა და მის ამხანაგებს. ჯარის-კაცნი სამართალში მისცეს. სამართალმა დაადგინა იარაღი აჰყაროს არახაუზეისის რაზმს.

ურგა. ხუტუხტამ იუანშიკაის საპასუხო დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც სწერდა: მონღოლეთისა და ჩინეთის გაერთიანებაზე ლაპარაკი

ეხლა სულ მთლად უდროვოა. რუსეთ-მონღოლეთის ხელშეკრულების დადება მონღოლეთის დამოუკიდებელი ნაბიჯი იყო, რომელსაც მიზნად ჰქონდა მონღოლეთის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, რათა ჩინეთის უკანონო სურვილებისგან განთავისუფლებულიყო.

კულჯა. პეკინის მთავრობის გულგრილი მოპყრობა ილის მხარეს ღვთის ანაბარას აგდებს. ადგილობრივ მთავრობას ფული არა აქვს.

სპარსეთი

თავრიზი. ალაუს-სალთანეს კაბინეთის შედგენამ და დამტკიცებამ დიდი მღელვარება გამოიწვია ბაქტიართა მოწინააღმდეგე ბანაკში. მცხოვრებნი შეშფოთებულნი არიან იმით, რომ ბაქტიარები ამ კაბინეთის საქმეებში მონაწილეობას იღებენ.

რუსეთი.

პეტერბურგი. დაიჭირეს „პრავდის“ და „ლუჩის“ მეოთხე ნომერი.

მოსკოვი. დასრულდა საელექტრო-ტეხნიკო კრება. შემდეგი კრება მომავალ წელს მოხდება ხარკოვში.

პეტერბურგი. ვაჭრობის მინისტრს მინისტრთა საბჭოში წინადადება შეაქვს წვრილ მრეწველთა მუდმივი საბჭოს დარსების თაობაზე.

„ლუჩის“ რედაქტორი 3 თვით დაატუსაღეს წერილისათვის—„მსხვერპლი და კიდევ მსხვერპლი“.

რიგა. „პროვოდნიკის“ ქარხანაში გაფიცვა დასრულდა.

პეტერბურგი. დაიჭირეს „ლუჩის“ მეხუთე ნომერი.

დასრულდა კრება ოჯახურ აღზრდის თაობაზე. კრებას დაესწრო 1,200 კაცი. უმთავრესი დადგენილებანი: აუცილებლად საჭიროა კავშირი ოჯახისა და სკოლისა, ბავშვის შრომის დაცვა. შემდეგი კრების გამართვას აპირებენ მოსკოვში 1915 წელს.

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრი საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხუთშაბათს, 10 იანვარს, ქართული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ალბერტ ლინდნერის ცნობილი პიესა **„ჰუგენოტების ამოჟლეტა“**, თარგმანი ი. ბარველისა. ამ პიესას იდგამს თავის საბენეფისოდ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი **ი. ზარდალიშვილი.**

ნაძალადევის თეატრი. კვირას, 6 იანვარს, ა. ცაგარელის გარდაცვალების ათი წლის შესრულების გამო, გამართეს სადღესასწაულო წარმოდგენა. ბ. სვიმონიძემ წაიკითხა ცაგარელის ბიოგრაფია.

შემდეგ წარმოადგინეს განსვენებულის დრამა „გულჯავარი“ და ვოდევ. „ჭკუისა მჭირს“.

გულჯავარის როლში ქ. ქაჯაია ზოგ ადგილას კარგი იყო, მაგრამ ჩქარა ლაპარაკობს. მშვენივრად ასრულებდნენ ბ-ნნი გიორგაძე-ბატონიშვილ ირაკლის—და გოგაშვილი—ლევანის როლებს. ბ. თევზაძე რამაზის როლში მოისუსტებდა. არა უშავდათ-რა ქ. მეხუზლას (ფატმა), ბ-ნთ სვანაძეს (რევაზი) და გაბინაშვილს (ზურაბი).

შენიშვნა რეჟისორს: მესამე მოქმედება ოთახში სწარმოებს და არა ბაღში.

ვოდევილში ფრიად მშვენიერნი იყვნენ! ქ. მეხუზლა (ტასო), ბ-ნნი სადულაშვილი (გრიქულა), სვანაძე (ბუდდანა) და ძაძამია (ბოქაული). ბ. მელიქიშვილი (დათიკო) თავის ალაგას იყო.

ა. ცაგარელის სურათთან სცენის მოყვარეებმა წაიკითხეს სცენები და ლექსები.

პიესის ბუნებრივად სვლას ხელს უშლიდა საზოგადოების უალაგო სიცილ-ხარხარი. **მიშო.**

ღია ბარათი

პატივცემულმა მწერალმა ბ-ნმა ნინო ნაკაშიძისამ თავის პიესის **„ვინ არის დამნაშავე?-ს“** სცენაზე დადგმის უფლება გადასცა ქართ. დრამატ. დასის ამხან. **„მოგზაურს“**, რომლის ნება დაურთველად ამ პიესის სცენაზე დადგმის უფლება არავის არა აქვს. ამ ღია ბარათით ვაცხადებთ, რომ ჩვენი დრამატიული საზოგადოებანი, ან რომელიმე ქართული თეატრის მსახიობი შეცდომაში არ შევიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის მგებელი იქნება **„მოგზაური“-ს** დასის წინაშე.

„მოგზაური“ დასის მინდობილობით.

მსახიობი **ივ. ბარველი.**

წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ
ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რათა თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვუცხადოთ უღრმესი მადლობა ყველა იმ პირთა, რომელთაც სიონის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ შემოსწირეს თავისი წვლილი ამა წლის თიბათვის 17-ში გამართულ ოჩხარის (სადილის) დროს:

ღენერალმა გიორგი ყაზბეგმა 12 მან., ვლადიმერ თედოს ძე ლუდუშაურმა 15 მან., ნიკალა ფაჯიშვილმა 1 ქედილა 6 მან. ღირებული, იოსებ კობაიძემ 1 ცხვარი, 1 ბატკანი ღირებული 6 მ., დავით დავითაშვილმა 1 ცხვარი, 1 ბატკანი ღირებული 6 მ., შაქრო ლუდუშაურმა 1 ცხვარი და 2 მან.—6 მ. ხუთ-ხუთი მანეთი: მიხეილა ფირანიშვილმა, სვიმონა ოდიშვილმა, შიო სეთურიძემ ლევანა კვირკიშვილმა, მაქსიმა ახალაშვილმა (მარსაგოვმა), შიო ოდიშვილმა, ლევანა დავითაშვილმა, (მანვე 1 ცხვარი 4 მ.,) ანდრია კობაიძემ. ოთხ-ოთხი მანეთი: შაქრო ყაზბეგმა, იაგორა ფაჯიშვილმა, ფირანა ავსაჯანაშვილმა, იოსება დავითაშვილმა, ანდრია კობაიძემ 1 ცხვარი ღირებული 4 მან. სამ-სამი მანეთი: მღვდელმა ბართლომე ლუდუშაურმა, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყაზბეგმა, გაბრიელ ბედოშვილმა, მღვდ. არჩილ ფოფხაძემ, სტეფანე სვიმონის ძე ზალაშვილმა, ალექსი ლუდუშაურმა, ალექსანდრე ბულაცოვმა, ციცკა ხულელიძემ, თედო ტუჩაშვილმა, იოსება ავსაჯანოვმა, სოლომონ კობაიძემ. ორ-ორი მანეთი: ნიკო ჩოფკაშვილმა (2 მ. 50 კ), ლეონა გელიაიძემ, შიო ეგვიაშვილმა წიკლაურმა, გიგოლი წიკლაურმა (ეგვიაშვილმა), გიგუცა სუჯაშვილმა, მიხელა სუჯაშვილმა, ივანე ხუციშვილმა, გიორგი ხუციშვილმა, გაბრიელ ხულელიძემ, ფიდო ლუდუშაურმა, ესტატე ბედოშვილმა, სერგო ოდიშვილმა, ადამა ტუჩაშვილმა, შიო კობაიძემ, სვიმონა დავითაშვილმა 1 ბატკანი 2 მან., ვასო დავითაშვილმა, ილიკო ფაჯიშვილმა, გრიგოლ გელიაიძემ, სვიმონა გელიაიძემ, გრიგოლ სისაურმა, გაგა ფაჯიშვილმა, ნიკოლოზ სეთურიძემ, ივანე სეთურიძემ, ალექსი წამალაიძემ, მარტია ფაჯიშვილმა, გრიგოლი წიკლაურმა (დიაკვანი), მარ*ია ლუდუშაურმა, გლახა წამალაიძემ, ნიკო კობაიძემ, გრიგოლი (გუგუნა) დავითაშვილმა, სვიმონა ნანეს ძე ოდიშვილმა 1 ბატკანი 2 მან. ღირებული. თითო მანეთი: ბიჭიკო გოდერძიშვილმა, ვასილი ბიარსაშვილმა, გრიგოლი ავსაჯანაშვილმა, გლახა კვირჯაშვილმა, ხუტა წამალაიძემ, იოსება სისაურმა, გიორგი წიკლაურმა ხევსურმა, ვანო ლუდუშაურმა, მოსე ლუდუშაურმა, სვიმონა ლუდუშაურმა, ნიკოლოზ დავითაშვილმა, (1 მ. 50 კ.) ალექს ვარძუკაშვილმა (1 მ. 50 კ.), გრიგოლი ჩქარიულმა, სვიმონა წამალაიძემ, გიორგი სისაურმა, სვიმონ კვირკიშვილმა, ვანო წამალაიძემ. სტრაჟნიკმა არაბულმა 50 კ., სოფელ გერგეტის მცხოვრებთაგან 15 მ., სოფელ ახალციხის მცხოვრებთაგან 10 მან., სოფელმა სტეფან წმინდამ (ყაზბეგელებმა) 12 მან.,

გამგენი სკოლისა: მღ. მალანია, მასწავლებელნი: **ა. კვაჭაძე, ლევანა დავითაშვილი** და **ანდრია კ-ბაიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(ზამთრობით).
15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი № 2**, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო № 4**, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ. № 6**, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი № 106.** საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ. № 5**, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ. № 3**, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ. № 4**, საღ. 9 ს 4 წ. **სახ. № 11**, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8/7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ № 5**, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ. № 3**, დილ. 9 ს. **ჩქარ. №** , საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ. № 7**, დილ 11 ს 55 წ.

ბათომიდან: სახ № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ. № 4**, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ. № 6**, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ. № 106**, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83/7, დილ. 5 ს. 28 წ

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 0, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვ.-დან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ № 63**, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ. № 65**, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ. № 67**, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ. № 69**, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ. № 71**, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 4 ს. 22 წ. **სახ.-საბ. № 62**, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ. № 64**, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ. № 66**, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ. № 68**, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ. № 70**, საღ 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ. № 79**, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ. 1**, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ. № 83**, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ. № 85**, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ. № 78**, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ. № 80**, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ. 82**, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ № 84**, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს. სახ № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ. № 4 п**, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ. № 6**, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ. № 8 п**, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ. № 7 п**, საღ 7 ს. 24 წ. **სახ. № 5 п**, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ. № 25 г** ნაშ. ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ. № 14**, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ. № 16**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ. № 15**, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ. № 17**, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ. № 14**, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ. № 16**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, შუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ. № 65**, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ. № 86**, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ. № 55**, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ. № 76**, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტოვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასი, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

გემების მიმოსვლა
(ზამთრობით)
15 ოქტომბრიდან,
შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“
საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) **პირდაპირი, საფოსტო** გემი **შაბ.,** და **კვირ.,** ღამ. [illegible] ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარული:

№ [illegible]. **ოთხშ.**—შუა ღამის [illegible] ს. 58 წ.
№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის [illegible] ს. 58 წ.
№ [illegible]. **სა.**, შაბათ., ნაშუადღ 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, საფ., პარ. დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარული:

№ [illegible]. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ [illegible]. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“
საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, პარ., და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარული:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლღის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 6[illegible]9).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 7[illegible]5).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—15.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **მ. ფომინ-ოხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქარანთარიძე** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 437).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

განცხადებანი

შემთხვევით იყიდება
დუქნის მოწყობილობა.

მსურველს შეუძლიან მიმართოს ფილოლოსიევსკის ქუჩა, № 3, სორინას ბინაზე, რაზკაინი ფოსტის მახლობლად. **სახლი მამაცაშვილისა.** 29

დ. ზესტაფონში
ექიმი კბილისა ბაბილინა ცხადაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ა. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბგახართვა: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, ზოგადი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საშვილოსნო ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეჟანიშვილი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი 1—2 ს. სიბერით და ქალების ავადმ.

საღამოთი:
მ. გ. ბეჟანიშვილი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთ უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1604 დოქტორი ზ. ა. ნ ვასარდიანი.

სავაჭრო სკოლა უფლებამოსილი და
საბუღალტრო კურსები
პეტერბურგის უმაღლეს კომერციულ სკოლის პროგრამით,
ივანე ზაქ. ტერ-სტეპანოვისა.
მეცადინეობა დაიწყება სავაჭრო სკოლაში 7 იანვარს, ხოლო კურსებისა— 5 იანვარს.
მიხეილის ქუჩ. სახლი № 53. 893.

დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი
ვლეგულოვ საკერავს
ქალებისა და ბავშვების კაბებს.
საქმეს ვაბარებ სუფთად, საჩქაროდ, ძრიელ ნაკლებ ფასად. აგრეთვე ვიყვან შეგირდებს, ვასწავლი მორიგების დაგვარად.
მისამართი: ჰავჰავაძის ქუჩა № 12 ხომასურიძე. 1603.

სამკურნალო გოგირდის აბანო
„ფანტაზია“
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიინდაზე.
ახლად შეკეთებული
მოწყობილება ყოვლ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 92% და 35% ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115. 16 4

—◆ გამოსულია და იყიდება ◆—
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“. დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.
19 თელერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370.
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ექიმების მიერ:	დილით:	
შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილ.	სპეკტიორი გ. მ. . . .	8½—9½	ს.
	გაზაზოვი ა. ა. . . .	10—11	ს.
	იაშვილი ა. ლ. . . .	11—12	ს.
	აბაკელია ი. ქ. . . .	12—1	ს.
	ლოლობერიძე გ. მ. . . .	12½—1½	ს.
[illegible]	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12	ს.
	მელკონიანი გ. ა. . . .	12—1	ს.
	ჯაში ი. ი. . . .	9½—10½	ს.
[illegible]	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12	ს.
[illegible]	ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ.	11—12	ს.
	ლოლობერიძე . . .	12½—1½	ს.
[illegible]	შტრეიხერი მ. ა. . . .	12 12½	ს.
[illegible]	შაპელნიკოვი გ. ი. . . .	1½—2½	ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი სფასურით. 1581

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი მოთხრობები:

არაგვისპირელისა. I, II, III და IV	ფ. 1—80 კ.
დუტუ მეგრელი წ. II . .	70 „
გაბაშვილი ე.	1—20 „
კა ეკალაძე	1—
კლდიაშვილი დავ. ტ. I და II	1—50 „
მეჯღანუაშვილი . . .	50 „
მაკი ხვიტია.	50 „
სურამის ციხე	15 „
წერეთელი გ. ტ. I, II და III	1—90 „
ყაზბეგი ალ. სრული თხ.	3—50 „
ყიფიანი სვ. წვრილი მოთხ.	50 „
შიოთა ბროლაძე . . .	80 „
ჭავჭავაძე ი. მოთხრობები წიგნაკებად	70 „
ახლად მიღებული წიგნები.	
ანტიგონე, გვაზავას ნათ. ბერძნულიდან . . .	20 „
ოქროს თავთავი, შ. მღვიმელისა	15 „
ჩემი ნანინა, ახოსპირელისა	10 „
კალენდარი კედლისა, გა-?ილაძის გამოცემული	40 „
კალენდარი ჯიბისა, გაჩ.	20 „

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотности-сред. гр. нас. 1141

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ხ. ვ. აზრაპიანის
საბუღალტრო კურსები
(არსებობს 1895 წ.)
ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.
ორივე სქესისათვის კურსი 4 თვისაა ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 იანვრიდან, 1913 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის უცხო ენები, სტენოგრაფია და რემინგტონი. მასწავლებელნი—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. ატესტატები სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. ტელეფ. № 744. (თ. 1644. 9)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა,
(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 21—4, ტელეფ. 976).
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comton-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება.

საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1) უცხო ენები. 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

ლექტორებად კურსებზე არიან უმაღლეს სატეხნიკო სწავლა-მიღებულნი. გავხსენით სპეციალური ქალთა განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით, და 4—7 ს. საღამ მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეებთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ალაგის საშოვნელად. მიმდინარე წელს ხელ 228 მსმენელი იყო. ამათგან 42 ქალი. რადგანაც მსურველი ბევრია, კურსებთან გავხსენით მეორე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ნამეტნავად ხელსაყრელია ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის. [illegible]07

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.